№ 29. 25 ივლისს 1871 25 ივლისს № 29.

დროება

გაზეთის ფასი

	თფილისში და გარეშე ადგილებში: ბაგზავნით	გაუგზავნელათ:
ერთისს წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით—ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, ბელ-ქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი

უცხო ქვეყნები: შვეიცარია—ჭენევა („დროების“ კორრესპონდენცია),—საფრანგეთი,—ბერმანია,—ავსტრია და ვენგრია, ამერიკის შეერთებული შტატები.—ტელეგრამმები.—საქართველო.—რუსეთი: წვრილი ამბები.—სამართალი.—ნარევი.—

ფუტკარი—ფუტკრისა და ქრაზანისა.

უცხო ქვეყნები

ჭენევა

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ივნისი.

საკვირველ, ერთი-ერთმანეთის შეუსაბამ საქმეებს ხედავს კაცი ქვეყანაზედ: მე მახსოვს 1867 წ., როცა დიდი შიმშილი იყო რუსეთის ჩრდილოეთის გუბერნიებში, პეტერბურღში და სხვა ქალაქებშიაც სამზღვარი არა ქონდა ბალებსა და მასკარადებს იმ შიმშილის გამო. ამბობდენ, რომ ამ ბალებსა და მასკარადებში ფულები იკრიბება მშიერების შესაწევნადო, მაგრამ გარეშე მაყურებლებისათვის ძრიელ გასაკვირველი იყო, რომ შიმშილის შემდეგად ეს მხიარულება და ლხინი გამოდიოდა. ოტათი ამის მსგავსიე შემთხვევა იყო ამ ორი თვის წინეთ ჭენევაში: მას აქეთ რაც პარიჟი შინაური და გარეგანი ომებისაგან ამისთანა განსაცდელში ჩავარდა, მისმა აქტიორების, აქსტრისების და ლიტერატორების უმეტესმა ნაწილმა სულ აქ მოიყარა თავი. ჭენევა დიდი ქალაქი არ არის, (აქ ითვლება მხოლოდ 47 ათასი სული ორიოვეს სქესისა) და მასთან სხვა პოლიტიკური მდგომარეობაც ნებას არ აძლევს, რომ დროს-გასატარებელ საქმეს ბევრი ყურადღება მისცეს; ამიტომაც აქ მარტო ერთი პატარა თეატრია და ორი თუ სამი ადგილი კანცერტებისათვის; იმ დღეებში კი სულ სხვა ნაირი სახე დაიკავა ქალაქმა: სადაც არ მიიხედავდი, ყველგან აფიშკა იყო მიკრული, რომელიც გეუბნებოდა, რომ ამა და ამ ადგილს ესა და ეს წარმოდგენა, ან კონცერტი არისო, სადაც ესა და ეს გამოჩენილი აქტიორი ან მომღერალი ამა და ამ პარიჟის ტეატრისა ან ოპერის იქნება პირველ წარმომდგენელ პირათო. ერთი ტეატრის მაგიერათ, ათ ადგილას იყო ხოლმე წარმოდგენა. ასე რომ იფიქრებდა კაცი, რომ ჭენევა პირველ სატახტო ქალაქათ ვადაიქცაო, სადაც ამისთანა განცხრომაებს დიდი ადგილი უკავია. მარტო ერთი აქტიორების სახელები არ იტყუებდა ამ წარმოდგენებისაკენ კაცის გულს; მათ სახელებთან პიესის სიუჟეტებიც იმ ნაირი იყო, რომ, ვისაც გაგების თავი ქონდა, ვერას გზით ვერ მოითმენდა მათს უნახავობას. წარმოიდგინეთ, რომ ჯერ თითქმის ომი არ გათავებულიყო პრუსიასა და საფრანგეთს შორის და უმთავრეს ეპიზოდებს ამ ომისას, ტრაგედიათ გადაკეთებულს, არდგენდენ ხოლმე; ისე რომ ამ წარმოდგენების ნახვა თითქმის ომის პირის-პირ დასწრებას ეთანასწორებოდა. რა ინტერესს ჰპოებდენ მაყურებელნი ამ წარმოდგენებში, მიხვდებით, თუ გაიხსენებთ—როგორ ინტერეს ჰპოებდით თქვენ უბრალო გაზეთური ამბის გაგონებაში ამ ომის შესახებ და რა იქნებოდა მაშინ, როცა ოტათი მიმსგავსებულს სცენას მაინც წარმოიდგენდით; ამას თან დაუმატეთ ის—რა ნაირათ ეტევება აქაური ხალხი პოლიტიკურ ამბებს და მაშინ დიდი საფუძველი აღარ იქნება საჭირო, რომ ცხადათ დაინახოთ, რამდენათ გაახალისა და გააცოცხლა ამ ნაირმა წარმოდგენაებმა აქაური საზოგადოების ცხოვრება. ერთმა აქაურმა გაზეთმა კიდეცა თქვა, რომ თუ ვისმეს სხვისი გაჭირვებით სიამოვნება და ლხინი შესძენიაო, უსათუოთ უპირველესი მათში ჩვენ ვიქნებითო; თავის დღეში ჭენევას ამისთანა მხიარულობა და დროს გატარება არ მოსწრებია, როგორც ეხლა ამ პარიჟის უბედურობის დროს შეხვდაო.

ეს სასიამოვნოთ დროს-გატარების საშუალება, მართალია, ბლომათ მისცა პარიჟმა ჭენევას, მაგრამ მასთან ჯავრი და მწუხარებაც ბევრი მიაყოლა.

ამ უკანასკნელმა ამბებმა ძრიელ დააფიქრა აქაურები. პრუსიის ასე საშიშრად გაძლიერებამ და ბერმანიის იმპერიათ გადაქცევამ დიდ შიშში ჩააგდო შვეიცარია: ყოველ დღე, რომელ პარტიის გაზეთშიაც გნებავთ, წაიკითხავთ, რომ პრუსია თავის გამარჯვებას არ დასჯერდებაო და შვეიცარიასაც ხელს მოსდებსო. ერთი იმის მიზეზით ჰფიქრობენ ამას, რომ რადგანც ბისმარკს სადაც-კი ეინმე ნემეცურად ლაპარაკობს, მათ დაუკითხავად, ყველასი ერთად თავის მოყრა უნდა და თავის ბრჭყალში ხელ ქვეით დასმა, და რადგანც უმეტესი შვეიცარიის ნაწილი ნემცებია და მასთან დიდს წინაალმდეგობას ვერ გაუწევს, ამისათვის სახელდახელო იქნება ბისმარკისთვის რაც მოუხერხდება მალე გადიყვანოს შვეიცარიელი რესპუბლიკელები თავის იმპერიალურ სარწმუნოებაზე. მეორე ამ შიშის მიზეზათ ესა აქვთ, რომ შვეიცარიის რესპუბლიკა საზოგადოთ არ ესიამოვნებათ არამც თუ მარტო ბისმარკს, სხვა ბატონებსაც, რომელთ ქვეშევრდომებისთვის შვეიცარიის თავისუფალი ცხოვრება ძალიან შემაცდენელი და მიმზიდველი რამ არის, და ამიტომ, თუ რამე მოახერხეს, არას ითაკილებენ, რომ ეს მათთვის უსიამოვნო წყობილება მოსპონ

ფუტკარი

მეორე თაფლიანი თეფში

„მნათობის“ ბაღიდამ.

ფუტკარი და ქრაზანა ერთად შეყრილანო,
ჩანგი ხელში უჭირავთ, მუდამ ბზუიანო.
ჩაბზუიან ქუხელსა და წყალტუბელსაო,
„მნათობს“ ბზუ! ანტონს ბზუ! ბზუ ზურაბსაცაო!

ბამარჯვება თქვენი, უფ. რედაქტორო! ბაგიმარჯოსთ „დროების“ მკითხველებო! ბამარჯვება წარჩინებულ ქართველ საზოგადოებას! ბაუმარჯოს ჩემ საყვარელ წყალტუბელს, ქუხელს და სხვა ყველას, ვისაც ვიზედმე ან რაზედმე გამარჯვება ეჭირვება! ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თქვენ ყველანი მოუთმენლათ მოელოდით ჩვენ ბზუილს, მაგრამ აი თვეზე მეტი გადის და თქვენ ძლივსლა დღეს შეიქენით ამის ღირსი. მაშ აცქვიტეთ ყურები და იმათი სმენა ჩვენი ბზუილა ჩაგნისაკენ მოაპყარით! ფუტკარსა და მის აუცილებელ მოძმეს, ქრაზანას, პატივი აქვსთ წარმოდგეს თქვენი ბრწყინვალე თვალების წინაშე...

* * *

უფ. რედაქტორო! თქვენ, უეჭველია, გეცოდინებათ, რომ ვოლტერს ანუ, (როგორც „ზემოური იმერელი“ იტყოდა), ოლტერს კუჭი მოშლილი ჰქონდა. ისიც გეცოდინებათ, რომ ლიტერატურის ისტორიკოსები ამ კუჭის მოშლილობას აბრალებენ იმ გარემოებას, რომ ეს გამოჩენილი ფრანცუზების მწერალი მუდამ გესლითა და შხამით სავსე თხზულებებსა და ლექსებს სწერდა. ლიტერატურის ისტორიკოსები ამბობენ, ვოლტერს რომ კუჭი არ ჰქონოდა მოშლილი, და ამ ავათმყოფობისაგან მუდამ ცუდ გუნებაზე არ ყოფილიყო, ის თავის დღეში ვერ დასწერდა ისეთ გესლიან და საზოგადოების გამწრთვნელ თხზულებაებს, რომელნიც იმან თავის გაწვალებულ სიცოცხლეში დასწერაო. ადამიანის ბუნების მცოდნენი კი ამტკიცებენ, რომ იუმორისტს უთუოთ ან გარეგანი და ან შინაგანი წამაქეზებელი რამ მიზეზი უნდა ჰქონდეს. თუ იმას არც შინაგანი რამ მიზეზი აქვს (მაგ. მუცლის ტკივილი ან სხვა რამ ამ გვარი), და არც გარეგანი (მაგ. თუ საზოგადოება ან კერძო პირები არ აბრაზებენ მას თავის მოქმედებით და სიტყვებით), მაშინ, დარწმუნებული იყავით, ის ვერასოდეს გესლიანს ვერაფერს ვერ შეთხზავსო.

* * *

ვერაფრით ვერ გვაგებდა ჩვენ ისე, უფ. ქუხელი, როგორც ამ კანონის ჩვენ წინაალმდეგ ხმარებით. წარმოიდგინეთ, გვეგონა, რომ ჩვენ პირდაპირ ის გესლსაევ იხმარდა, გვეგონა, ეცდებოდა, რაც შეეძლო, „მკვახე“ და ხორკლიანი სიტყვებით გავებრაზებინეთ, გვეგონა, დაგვცინებდა ჩვენს დაცინებაზე და იტყოდა: „ნუ თუ ფუტკარ-ქრაზანას მართლა ჰგონიათ, რომ იმათ ბოდვაში შხამია? ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ იმათი ნაჯღაბნი ვისმე გაახელებს?—და სხ. იმედი გვქონდა, რომ ამ ნაირი სიტყვებით, ჩვენ უფრო გაგვახელებდა ის და ჩვენ ნაწერსაც მომეტებულ შხამს შესძენდა. მაგრამ აშის ნაცვლათ, აი წაიკითხეთ, რას ამბობს უფ. ქუხელი ჩვენზე და „დროებაზე:“

„...ის არის კაცი-ფუტკარი, მომკრები კაცობრიობის ცხოვრების სიცუდისა თუ სიკეთისა და გამაქვეყნებელი საზოგადოების სამოძღვრებელათ.“

მეორე ადგილას:

„..ის კაცი-ფუტკარი მასთანავე კრაზანაც არის, რომელიც შხამიან ნესტარს უყრის ყველას სიცუდის გასიგმირავათ და სიკეთის ჩასაგონებლათ“.

ერთი მითხარით, ამისთანა ქების, გუნდრუკის კმევის შემდეგ რალა გესლი და შხამიანობა უნდა შეგვრჩენოდა, თუ კი მართლა როდისმე გვქონდა?!

* * *

მართლა არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენი თავისა და გესლის ვოლტერთან და იმის სარკაზმთან შედარება გვინდოდეს. ღმერთმა აგვაშოროს ჩვენ, უბრალო მწერები, ამისთანა ამაყობას! მაგრამ, თუ „მნათობის“ ბოძებს ბისმარკთან და მოლტკესთან მოაქვთ თავი, მართალი გითხრათ, ჩვენც გავბედავთ ვოლტერის შედარებას. ეს უკანასკნელი სიტყვები ჩვენი მოგონილი არ გეგონოთ; აი წაიკითხეთ უკანასკნელ „მნათობის“ ნომერში, მე 26 გვერდზე:

„...ამ მიზანტროპმა (ე. ი. სკანდელმაო) მე მომაგონა ნაპოლეონი III. არ გახსოვთ, მკითხველებო, რა ნაირათ შემოსძახა ნაპოლეონმა ბისმარკს და რა კილოს დეპეშა გაუგზავნა წვრილ ბერმანიის სამეფოებს? ოცდა ოთხი საათის განმავლობაში შემატყობინეთ თანაუგრძნობთ ბისმარკს თუ არაო? სკანდელი კათეგორიულათ მოითხოვს პასუხი მისცეს „მნათობის“ რედაქციამ. ნაპოლეონის ბაქიობის შემდეგს მოვესწარით: საწყალს ტახტი ააშვლიპეს და დარჩა ხელ ცარიელი და ბისმარკი, მოლტკე და ვილღელმი დაბრუნდნენ შინ ჯიბე გატენილები.“

ესე იგი სკანდელმა გამოითხოვა ბრძოლაში „მნათობის“ თანამშრომელები, მაგრამ თვითონვე დარჩა ხელ ცალიერი და „მნათობის“ თანამშრომელები კი დაბრუნდნენ შინ ჯიბე (უკაცრავათ) ჭკუა გატენილები! ასეა განა?

მართლა, უფ. „მნათობის“ რედაქტორო, სიტყვამ მოიტანა და უნდა გკითხოთ: ეს ხოსია შროშანიძის, ბოდვა“ რა ბოდვა? ახ, მართლა, უკაცრავათ, რომ ტყუილ-უბრალოთ შეგაწუხეთ კითხვით. ზედვე აწერია: „ტვინ-შერყეულის ბოდვაა...“

* * *

იმისთანა ცუდი, იმისთანა გულის მომკვლელი არაფერი არ არის კაცისათვის, როგორც ის, როდესაც მტერი დაუწყებს ქებას, ან როდესაც შენი აზრის და მოქმედების მოწინააღმდეგე იმათზე დათანხმებას გამოაცხადებს. როშჭორი ამბობს ერთ ადგილას თავის „ფანარში“, რომ“ მე შიშით გული მიძგერდა, როდესაც შინაგანი საქმეების მინისტრ—პინარს—გაზეთის გამოცემის ნება ვითხოვეო. ვაი თუ მართლა ნება მომცეს, ვფიქრობდი მეო. ხომ დავიღუპე მაშინ მე! რას იტყვიან ჩემი მეგობრები, რას იტყვის საზოგადოება! ბანა ყველა არ იფიქრებს, რომ ისე გავს როშჭორის აზრები მოსწონს ნაპოლეონის მმართებლობას, იქნება მთავრობამ კიდეც შეისყიდა ისა, თორემ როგორ მისცემდ ნებასაო!“

* * *

სწორეთ ამგვარი ფიქრები მოგვივიდა ჩვენ თავში, როდესაც პირველათ „მნათობის“ გვერდებზე „დროების“ და მეტათ ჩვენი საკუთარი ქება დავინახეთ. მაგრამ, მადლობა ღმერს! მალე მოგვეცა ნუგეში. ოტა ხანს შემდეგ, როცა ბოლომდი წაიკითხეთ უფ.

ევროპაში. ორიენ ეს მიზეზები კიდევ არათ მიაჩნდათ აქაურებს, სანამ საფრანგეთში რესპუბლიკის დაფუძნების იმედი ჰქონდათ, რადგანც ამისთანა ძლიერ მოძმესთან არცრაფერი ამათ გაუჭირდებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე სხვა ნაირად მიდის და თითქმის იმედ დაწმენდილი არიან საფრანგეთის რესპუბლიკაზედ და, იმედის მაგივრათ. იმისი უფრო ეშინიათ, რომ საფრანგეთის მოძმავალმა ხელმწიფემ ამ დაჩაგრულს გულზედ არ მოინდომოს, ქენეის და მისი მოსამზღვრე კანტონების მითვისებით, სულის შემსუბუქება, — და ეს თითქმის დიდათ უფრო სასიშარია ბისმარკზედ.

ამ შემთხვევაში კაცი იფიქრებს, რომ შვეიცარია დიდად უნდა სცემდეს პატივს საფრანგეთის მმართებლობას, რომ შემდგომში სამიზეზო არა მისცეს რა; მაგრამ ამისთანა დამორჩილებაზედ სრულიადაც არა ჰფიქრობენ აქ. ან აჩრდილი სადღა იყო ამ შიშის 28 მაისს, როცა მიილეს ვერსალიდგან მოწერილობა, რომ ყველა პარიჟიდგან გადმოვარდნილნი კომუნის მომხრეები ჩარიცხონ არა-პოლიტიკურ დამნაშავეედ და მაშასადამე დაიჭირონ და უკან გაუგზავნონ თავიანთ მმართებლობას. ეძალთან ბელგიის მმართებლობიდგანაც მოვიდა ცნობა, რომ ის პოლიტიკურ დამნაშავეთ არა სთვლის პარიჟელ კომუნისტებს და ექცევა მათ ისე, როგორც სისხლის სამართლში დამნაშავეებს; ბოლოს ურჩევდა აქაურ მმართებლობას, რომ ესეც ასე მოქცეულიყო. ყველა ეს ამბავი, მე მგონია, მმართებლობაზედ უმალ ხალხმა გაიგო და, როგორც ამისთანა შემთხვევაში მოხდება ხოლმე, ამას არ დაჯერდენ, გაგდეს ხმა, რომ ტიერის პოლიციის ჩინოვნიკებით სავსე არის რკინის გზა საფრანგეთის სამზღვრიდგან ქენევამდისო და ღარავის ღარ კითხავენ, ისე იპყრენ ჩვენს კანტონში პარიჟელებს და აგზავნიან უკანაო. ამ საქმემ საშინლათ ააღელვა აქაური მოქალაქეები; თავის მმართებლობის გადაწყვეტილობას ღარ მოუცადეს და თითონვე თავს იდვეს პარიჟიდგან გადმოვარდნილების დაცვა. აქაურმა რესპუბლიკურმა გაზეთმა („La Suisse Radicale“) საშინელი მკვირცხლი სტატია დაბეჭდა ამ საქმის თაობაზე. ეს გაზეთი ამ სიტყვებით ათავებდა თავის სტატიას: „თუმც მონარხიულ ბელგიას სურს, რომ ტიერის დარეაქციის პოლიციის ჩინოვნიკათ (garde police) გახდეს, მაგრამ ამ ნაირი საზიზღარი როლის აღება არ შეშვენის რესპუბლიკურ შვეიცარიას.“ და თან იპატიჟებდა მოქალაქეებს თავის მოსაყრილად, რომ ამ საქმის თაობაზედ მოვილაპარაკოთო. საზოგადოთ ამ გაზეთმა ძრიელ თავი გამოიდვა ამ საქმისათვის და, მგონია, ეს იყო მიზეზი, რომ ორი კვირის შემდეგ სულ მოსპო ტიერმა ამ გაზეთის საფრანგეთში გავრცელება. თითქმის ნახევარი ნომერი ამ გაზეთისა სავსე იყო ცალკე პირების განცხადებით, რომელნიც პირ და პირ ამბობდენ, რომ გადავარდნილთ უფლება (le droit d'asile) *) იყო და არის ერთი ფუნდამენტალურ პრინციპთაგანი ჩვენი რესპუბლიკისაო, ეს შეადგენდა და შეადგენს ერთ საქადურ წესდებულებას ჩვენი რესპუბლიკისას და შვეიცარეს უმაღლეს ნაციონალურ ღირსებას, არის შეძენილი მამა-პაპის სისხლით და აქამომდე დამცველი ამ უფლების ჩვენ, თუ საჭიროებამ გვაიძულა, სისხლითვე უნდა დ ვიცვათ ეს ჩვენი ძვირფასი უფლებაო. ამ ნაირი თავგამომეტებული გადაწყვეტილება მარტო თითოეულ პირთაგან არ იყო წარმოთქმული: 29-მაისს იყო დიდი სახალხო თავყრილობა ამომრჩეველთ კრების დარბაზში (Palais electoral), რომელზედაც ორ ათასამდე იყო ხალხი და თითქმის ზევით მოხსენებულ გზაზედ დადგნენ ყველანი; ჯერ ჯეროობით გადაწყვეტეს ადრესის გაგზავნა ბერნში, უმთავრეს ფედერაციის მართებლობასთან და მეორე დღეს დიდი სახალხო დემონსტრაციის მოხდენა; თუ რომ ამ საშუალებაებთ ვერა ემოქმედებიოსთ რა, იმ შემთხვევისათვის გადაწყვიტეს ერთხმათ, რომ თოფ-იარაღით დაეცვათ თავის უფლება. ადრესი თავიდგან ჩაეენებდა გადავარდნილთ უფლების მნიშვნელობას შვეიცარიისთვის, შემდეგ რა აუცილებელი ვალდებულება მოითხოვეს მათგან, რომ ის დაიცვან და თავდებოდა ამ ორი უმთავრესი მუხლით:

„ჩვენ ქენევის თემობა, თავ მოყრილი სახალხო კრებაზედ (reuni en assemblée populaire) ვაცხადებთ:

1) როგორც მოქალაქენი თავისუფალი ქვეყნისა, ჩვენ ვითხოვთ ფედერალურ რჩევისაგან, რომ გადმოცვნულნი (réfugiérs), რომელნიც მოვლიან აქ საფრანგეთიდგან, უკანასკნელ შემთხვევების გამო, იყვენენ მიღებულნი პოლიტიკურ დამნაშავედ და დაფარულნი ყოველ-ნაირ უარყოფის და განდევნისაგან. ამის აუსრულებლობა იქნება სასიკვდილო ზარის დაცემა (un coup mortel) ჩვენი თავისუფლებისა და რესპუბლიკისათვის.

2) სრულიად დაჯერებულნი მასში, რომ უმთავრესი შვეიცარიის მართებლობა არასოდეს არ გადუდგება თავის მოვალეობას სამშობლოსადმი და არ აუვება არავითარ ჩაგონებას რომელიმე მონარხიული მართებლობისას, ჩვენ ვარწმუნებთ მას, რომ ჰპრეგს თვითოეულ თავისუფალ ბელვეციის *) შვილში მატერიალურ და მორალურ ძალას დაეცდება მტკიცეთ და შეურყეველათ დაიცვას ყოველივე ძვირფასათ ნაშთავარი სამკვიდროება, გადაცემული მისდამი მისის წინაპარისაგან.“

„ბაუმარჯოს შვეიცარიის ფედერაციას!

ბაუმარჯოს ბელვეციის სტუმართმოყვარეობას!“

როგორც ხედამთ, ცოტა აკლდა სისხლის ღერამდის, რომ მართებლობასაც არ მოენდომებია ეს ქვეყნის უფლების დაცვა. ამ თავყრილობამ ვერ მოასწრო გასვლა ზალიდგან, ისე მოვიდა დეპეშა ბერნიდგან, რომელიც არწმუნებდა მათ, რომ მმართებლობას არასოდეს არ უფიქრნია და არც იფიქრებს, რომ რამე შესცვალოს ხალხის სურვილის წინააღმდეგათ და სთხოვდენ, რომ დამშვიდდენ და იქონიონ სრული იმედი მმართებლობაზედ. მართლათაც, მეორე დღესვე გამოვიდა მ რთებლობის გადაწყვეტილება, რომელიც უგებდა პასუხს ტიერსა, რომ ამ შემთხვევაში მას არ შეუძლია მოქცევა წინააღმდეგ მისა, როგორც სხვა ამ ნაირს შემთხვევაებში და ამისთვის ის სტოვებს შეუცველელად ისევ იმ კანონს, რომელიც მანამდის იყო ემიგრანტების შესახებ, ე. ი. ყოველ გადმოვარდნილს დააკავებს და 14 დღის განმავლობაში ვერსალის მართებლობას ნება აქვს დაამტკიცოს მათი დამნაშაობა სისხლის სამართლის წესით; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავისუფლები იქნებიან. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ყრილობამ თავის გადწყვეტილების აღსრულება ღარ ისაჭიროვა; ადრესი კი მაინც ვაგზავნა თავის ადგილზედ. მმართებლობამაც პატიოსნათ ასრულა თავის მოვალეობა. მართალია, დაჭირვეთ ბევრი დაიჭირა, მაგრამ გაგზავნით საფრანგეთში არ გაუგზავნია, რადგან საფრანგეთის მართებლობამ ვერც ერთის შესახებ გასამტყუნარი ვერა წარმოადგინარა და ეხლა ისინი ისე თავისუფლად, როგორც სხვა მოქალაქეები, დაიარებიან ქენევაში.

ამ სიამოვნებას და უსიამოვნებას აძლევს საფრანგეთის მდგომარეობა მთელ შვეიცარიას და მასთან ქენევასაც. თუ ამითი გათავდა შარშანდელი და წლეულანდელი ევროპის მდგომარეობის გაწვლენა შვეიცარიაზედ, კიდევ დიდი ბედნიერება იქნება; მაგრამ აქაურები ამბობენ: როგორც თქვენც შეიტყობდით, ეხლა აქ არის მთელი ფედერაციის წყობილების გადათვალიერება და ვინ იცის ამ საქმეების გამო რა გზაზედ დაადგება აქაური მმართებლობა. სხვათა შორის ამ გადათვალიერების რეზულტატი, როგორც საქმეც აჩვენებს, იქნება ცენტრალიზაციის გაძლიერება შვეიცარიაში, მაშასადამე თვითეული კანტონების უფლების შემცირება. ამ რეზულტატს მაშინ უკეთ დავინახავთ, როცა კამისიები, ამ საქმისათვის დანიშნულნი, გათავებენ თავის საქმეს, მაშასადამე მაზედ მოლაპარაკება ამ დროისათვის გადავდეთ.

ივლისის 8-ს.

1871 წელსა. ბ. ჯ.

*) ეს უფლება მდგომარეობს იმაში, რომ შვეიცარია, როგორც ინგლისი და სხვა თავისუფალი სახელმწიფოები არ გასცემენ სხვა ქვეყნებიდგან გამოქცეულ დამნაშავეებს, თუ სისხლის სამართლის საქმეში არ არიან ისინი გარეულნი. ამითი ყველაზე უფრო, რასაკვირველია, პოლიტიკური დამნაშავეები სარგებლობენ, რომელნიც თავს იფარვენ ამ ქვეყნებში. რედ.

*) შვეიცარიის ძველი სახელია.

ქუხელის „შინაური მიმოხილვა“ და წ-ის „ორიოდე სიტყვა „დროების“ ეხლანდელ რედაქციაზე,“ ჩვენ დამშვიდდით და დაეურწმუნდით, რომ „მნათობი“ ამ ტკბილ სიტყვებთან მკვახეებსაც არ ზოგავს ჩვენთვის.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩვენთვის, როდესაც „მნათობში„ „დროებაზე„ ორიოდე სიტყვა დვინახეთ, ის ორიოდე სიტყვა, რომელსაც მიზნათ აქვს დაამტკიცოს საქვეყნოთ, რომ „დროება“ უკანასკნელ მდგომარეობაშია, რომ იმის ახალ რედაქციას სრულიად არ ესმის თავის მოვალეობა და სხვა.

* * *

უნდა გაგიტყდეთ, უფ. რედაქტორო, რომ არ ვიცით რა მიზეზის გამო, უფ. წ—ის და უფ. წყალტუბელის სიტყვები ჩვენ სულ უკულმა გვესმის: უფ. წ. ამბობს, მაგალითად, რომ „დროება“ თავდაპირველათ კარგათ მიდიოდა, იმას წინეთ თანამშრომელებიც ბლომათ ყავდა და ხელის მომწერლებიცა, „მაგრამ, ვაი! დროთა ვითარებანი შეიცვალენ.... და გაუკეთესებისა და უფრო წარმატებაში შესვლის ნაცვლათ, იწყო მან თან დ თან დასუსტება.... და აწ მიალწია უკანასკნელ მდგომარეობაში“.

მომილოცავს უფ. რედაქტორო! ამ სიტყვებით ამ ჩვენ პირ და პირ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ „დროება“ ახლა, ბევრით თუ არა, ცოტათი მაინც სჯობია უწინდელს; გამოგვყავს კიდევ ის, რომ თანამშრომლების, რიცხვი თუ არა, სიკეთე მაინც მომატებია და სხ.

* * *

უფ. წ ამბობს, რომ „დროებამ“ „გაილაშკრა ახალგაზდა მწერლებზეო“. მაგრამ ამას უეჭველია, ხუმრობით ამბობს, თორემ მართლა ხომ ვერ იტყვის. თავის თავსაც ხომ, თუ არ ხუმრობით, მწერლებში და ნამეტურ „ახალგაზდა“ მწერლებში ვერ ჩაითვლის.

* * *

უფ. წ. ამბობს, რომ „ბედნიერი ქორწილი“ ნამდვილი კამედია არისო და „ქატა აწონა“ კი არაო. იქნება „ქატა აწონა“ მართლა სუტი რამ იყოს, მაგრამ მე ვიცი, რომ წმინდა გულით უფ. წ. არასოდეს არ იტყვის, რომ „ბედნიერი ქორწილი“ მართლა კომედია არისო....

* * *

უფ. წ თითქო გულგრილათ ამბობს, რომ ციცისელის

„წერილის შინაარსს შეადგენდა საზოგადოთ, გარდა უთავბოლო სჯისა პოეზიაზე, უსაფუძვლო და დაუმსახურებელი ლანძღვა ერთი „მნათობის“ თანამშრომელთაგანისა (ე. ი. უფ. წყალტუბელის).

მაგრამ აქედამ მე მტკიცე რწმუნება გამომყავს, რომ უფ. ციცისელის სჯა პოეზიაზე სწორე და საფუძვლიანი იყო და „ერთი„ „მნათობის“ თანამშრომეთაგანის ლანძღვა, (თუკი იყო ლანძღვა), დამსახურებული იყო. ამაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, თვითონ უფ. წ-იც დაგვეთანხმება და თუ ამის წინააღმდეგი თქვა, სთქვა მხოლოთ ხუმრობით და ეშმაკობით, თორემ მართლა როგორ იტყოდა? როგორ იტყოდა უფ. წ., რომ წყალტუბელი პოეტიაო. არა, ეს შესაძლებელი არ არის....

* * *

ფუტკრის აღსარება

„მებატონის აღსარების“ ხმაზედ

(უძღვნი ბ. წყალტუბელს)

მოდი, ძმაო, მომე ხელი!
„ციცისელი“ დავივიწყოთ,
რაც რამ სწერე ლექსი ძველი,
ის ორივემ წყეული ვყოთ!
რათ დასჯიხარ, შენ გან-განზე,
თითქო შენი ვიყო მკვლელი;
სჯობს დავადგეთ ჩვენ იმ გზაზე,
ბვირჩევს რომელსაც ქუხელი!
შენც კარგათ გრძნობ, ღმერთმან იცის:
იტალიაში მსჯელობე
და დაჭერა ხელში კალმის,
რომ არ აოს შენი ხელობა.
მართალია, პოეტ ბდი,
და ელოდი შთაგონებას,
მე კი მხოლოთ დაგბზუოდი
და გვედრიდი „დასვენებას“.
მაგრამ აწ კი მომე ხელი,
„ფუტკარიცა“ დავივიწყოთ.
რაც რამ სწერე ლექსი ძველი,
ყველა ერთად ცეცხლში ვყაროთ.

დროა, ძმაო, თავსა ვკითხოთ:
„რა გამოვა შენი წერიან?“
მაშ რაც სწერე ახალ-ძველი,
ყველა ერთად ცეცხლში ვყაროთ.

ქ რ ა ზ ა ნ ა.

* * *

პატივცემულ ქუხელთან ჩვენ დიდხანს შეგვეძლო გვემსჯელათნა და სიამოვნებითაც გაგვეტარებინა დროება, ალაგი და სურვილი რომ გვქონდეს. მისს უკანასკნელს „მიმოხილვაში“, მადლობა ღმერთს, ჩვენი თეფშისთვის საკმაო მასალების მოძებნა შეგვეძლო. შეგვეძლო მაგალითად, მოგვეყვანა ის ადგილი, სადაც უფ. ქუხელი ჩვენ ბზუილს „გამოფიტულ ბუდეში“ უხეირო ფაცხა-ფუცხს ეძახის და გაგვეფრხილებია, რომ თავის „მნათობის“ ასე დამცირება, იმის „გამოფიტულ ბუდესთან“ შედარება სიკეთეს არ დააყრის ჟურნალს.

შეგვეძლო გვეთქვა რამ „ქიშპობაზე და მეტოქეობაზე“, რომელიც „მნათობზე“ აქვს „დროებას“ და განსაკუთრებით ფუტკარ-ქრაზანას. შეგვეძლო გაგვეცინებინე თქვენ, უფ. რ „დაქტორო, ქუხელის სიტყვები რომ მოგვეყვანა, რომელშიაც ამბობს, რომ ჩვენ „არაითარი მოძღვრება არ შეგვეძლიან და არაითარი ჭეშმარიტების გამოძიება არ ძალგვიძს...“ ფუტკარსა და ქრაზანას რომ „ჭეშმარიტების გ მოძიებასა და მოძღვრებას“ სთხოვდეს კაცი. გაიცინებთ, მა რას იქთ?... და სხვ. ბევრი მშვენიერი აზრებისა და სიტყვების მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ ვხედავთ, რომ ძალიან ცოტა ადგილი გვრჩება და ამიტომ მხოლოთ ერთ ყველაზე უკეთესს და უმშვენიერესს ადგილს მოვიყვანთ ქუხელის საუბრიდამ და კიდეც გავათავებთ:

„ეხლა ჩვენი (ე. ი. ჩვენი საზოგადოების) ცხოვრება სრულებით შეიცვალა: კანონით აღარ არსებს მალალ-დაბლობა (წითელ-სისხლიანობა და მუქ-სისხლიანობა) და ყველა თანასწორათ იბადება, ყველას ერთნაირათ ეკუთვნის ცხოვრების ასპარეზი; ერთი მეორესთვის აღარ შრომობს მუქთად: ყველა შრომა მშრომლის შეუხებელს საკუთრებას შეადგენს; ეხლა ნიჭს და მოქმედებლობას ეძლევა პატივი და დიდება, და არა ჯიშს, შთამომავლობას.“

განა ამისთანა მშვენიერ სიტყვებს განმარტება სჭირიან? ნეტავი უფ. ქუხელს—რალა უჭირს, რომ ამისთანა სანეტარო დროებაში სცხოვრებს!...

რედაქტორი ფუტკარი.

თანამშრომელი ქრაზანა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

Ერთს ფრანცუზულ გაზეთში სწერენ, ვითომც Ტიერს ერჩიოს Ორლეანის პრინცებისთვის, გამოაცხადეთ, რომ თქვენ რესპუბლიკის მომხრე ხართო; მაგრამ ამნაირი გამოცხადებისთვის რომ მისცეს იმათ შემთხვევა, Ტიერი ნაციონალურ კრებაში მმართებლობის ფორმაზე აღძრავს ლაპარაკს და Ომალის და Შუანვილის პრინცებს, როგორც დეპუტატებს, შეუძლიანთ წარმოსთქვან ამ შემთხვევაში თავის აზრი რესპუბლიკის სასარგებლოთაო. შემდეგ Ტიერი კრებას მისცემს წინადადებას, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლება კიდევ ორ წელიწადს გაგრძელდესო და ბოლოს ამ უფლებას ის Ომალის პრინცს გადასცემსო.

— შესანიშნავია, რომ უკანასკნელი კენჭის ყრის დროს ყველაზე მომეტებული თეთრი კენჭი არმიაში Გამბეტასა და მის თანამოაზრეს ღენერალ Ფედერბს ჩაუგდეს სალდათებმა; არცერთი ნაპოლეონის დროინდელი და არც სხვა მონარხიელი ღერენალი იმათ არ იმოირჩიეს თავის დეპუტატათ ნაციონალურ კრებაში. Გამბეტასი და Ფედერბის ამორჩევას იმით ხსნიან ფრანცუზული გაზეთები, რომ ამ ორმა რესპუბლიკელმა ყველა ღენერლებზე უფრო მომეტებული ერთგულობა და ენერგია დაუმტკიცეს საფრანგეთის უკანასკნელი ომიანობის დროსაო.

— Გამბეტა პირველათ 4 ივლისს იყო თურმე ნაციონალურ კრებაში; ის დაჯდა მარცხენა მხრით, სულ კიდეში, სადაც ოპოზიციის დეპუტატები (რესპუბლიკელები) სხდებიან ხოლმე ყოველთვის. მაგრამ, ამბობენ, რომ Გამბეტა დი Ტიერი, რომელნიც დიდ სიძულვილს და უკმაყოფილებას აცხადებდენ ერთი მეორეზე, ახლა უახლოვდებიან ერთმანეთს და იმათ შორის არავითარი განხეთქილება და უთანხმოება აღარა სჩანსო. Გამბეტა ყოფილიყო Ტიერთან და დიდხანს ელაპარაკნათ სხვა და სხვა სახელმწიფო საქმეებზე. Ტიერს მიეპატიჟნა აგრეთვე Გამბეტას ამხანაგი, ღერენალი Ფედერბი, და სამი საათი ელაპარაკნა იმასთან იმაზე თუ როგორ უნდა გავაწყოთ ჩვენი სამხედრო საქმეები და საზოგადოთ როგორი ცელილება უნდა მოეახდინოთ ჯარშიო.

— Ვერსალში და პარიჟის ციხეებში მმართებლობას ქომუნის მომხრეებთაგანი ოცდა თორმეტ ათას კაცზედ მეტი ყავს დამწყვდეული და არ იცის, რა უყოს. Გაზეთებში სწერენ, რომ ამ რიცხვდამ თექვსმეტ ათას კაცს მალე გაათავისუფლებენო, მაგრამ დანარჩენს თექვსმეტ ათასს გასამართლება არ უნდა? რადგან ეს ყოველათ შემძლებელია, ამიტომ ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ მმართებლობას, რომ საქმის გაურჩეველათ, გაეგზავნოთ ისინი ქაენაში და იქ დაეასახლოთო. ზოგიერთები კი ამბობენ, გამოუშვათ ყველანი საპყრობილებიდგან, მაგრამ პარიჟში და სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრება აუკრძალოთო, რადგან ამ დიდ ქალაქებში არიან ისინი საშიშო მით, რომ ხელმეორეთ არეულების მოხდენა შეუძლიათო. Ისმის, ვითომ ერთი პირველთაგანი სიტყვა Გამბეტასი ნაციონალურ კრებაში ამ დატუსაღებულების თაობაზე იქნებაო. Იმას ჰსურს თურმე ჰკითხოს მმართებლობას—რას უპირებს ამ დატუსაღებულებს და რამდენს ხანს იქნებიან დაჭერილნი ზოგიერთი სრულიად უმანკო პირები?

— 2 მაისს ერთმა მინისტრთაგანმა გამოაცხადა ნაციონალურს კრებაში, რომ 300,000 საფრანგეთის ტყვეები დაბრუნდენ Გერმანიიდამაო და 8 ივლისისთვის არცერთი ფრანცუზი არ დარჩება Გერმანიაში ტყვეთაო. Ეს ამბავი ძლიერ სასიამოვნოთ დარჩა კრებისათვის.

— როგორც ერთხელაც იყო „დროებაში“ მოხსენებული, საფრანგეთის მმართებლობა და ზოგჯერ ხალხიც ძლიან უკმაყოფილოთ არიან პოლშელებზე, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიიღეს პარიჟის არეულობაში. მინ-ც სახელმწიფო სამსახურშია, ყველას ითხოვებენ და ზოგიერთებს, რომელნიც თოფ-იარაღით დაიჭირეს, იმათ ზოგს დანარჩენ ქომუნის მომხრეებთან ქაენაში გზავნიან და ზოგს კი სამუდამოთ აგდებენ საფრანგეთიდამ. — Ამის გამო პარიჟში საზოგადოება შემდგარა ახლა, რომელიც ხელს უწყობს თურმე იმ პოლშელ ემიგრანტებს, რომელთაც აგდებენ ამ ქვეყნიდამ. Უმეტესი ნაწილი ამათგანი Გალიციაში მიდის თურმე და იქ ესახლება.—Ამ უკანასკნელ დროს პოლშის ემიგრაციის კონსერვატიულმა პარტიამ, და სხვათა შორის თ. ჩერტორიისკიმ, ქაღალდი მისცა Ტიერს, რომელშიაც ამბობს, რომ უმეტესი ნაწილი პოლშელებისა სრულიად არ თანაუგრძნობდა Დომბროვსკის, Ოკალოვიჩს და სხ. ქომუნის მომხრე პოლშელებსაო.

— Ის სამხედრო სასამართლო, რომელიც დაწესებულია Ლიონში იმ არეულობის გასარჩევით, რომელიც მომხდარა ამ ქალაქში მარშან 20 სექტემბერს (როდესაც ქლიუზერემ და იმის მომხრეებმა, ნაციონალური გვარდიის შემწეობით, დაატყვევეს პრეფექტი და ჩაიგდეს ქალაქი ხელში), ეს სასამართლო ამ დღეებში დაიწყებს ამ საქმის გარჩევას. მაგრამ უმეტესი ნაწილი დამნაშავეებისა გაქცეული არიან. Ამ გაქცეულების რიცხვში ურევია სხვათა შორის ქლიუზრე, რომელიც ამ ჟამად Ამერიკაშია, და მიხაილ Გაკუნინი (რუსის ემიგრანტი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

Გერმანიის მმართებლობასა და იქაურს კლერიკალურ (კათოლიკების) პარტიას შუა თანდათან ძლიერდება განხეთქილება. Განსაკუთრებით Ბავარიის კლერიკალური გაზეთები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ ახლანდელ Გერმანიის წყობილობაზე. Ეი რა მკაცრათ სჯის სხვათა შორის Გერმანიის იმპერიაზე ერთი კათოლიკური გაზეთი: „Კათოლიკებთან ბრძოლა ნევსიანი Დრეიზეს თოფებით არ შეიძლება და ამიტომ ეს ბრძოლა არც მალე და არც ისე ბრწყინვალეთ გათავდება, როგორც სხვებთან. Კათოლიკები, რასაკვირველია, რეოლიუციას არ მოახდენენ Გერმანიაში, მაგრამ, ამ Გერმანიისდა საუბედუროთ, შეიძლება მოხდეს, რომ ის აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ იმპერია შეურყეველათ სდგასო, შემცდარი აზრი იყოს.“—Ერთს ნემეცურს გაზეთში სწერენ, რომ იმ არეულობის და უთავდებოლობის გამო, რომელიც თვითონ კათოლიკე სამღვდელოებაში სუფევს ახლა, მმართებლობას ჰსურს შეიტანოს რეიხსტაღში ახალი კანონი სამოქალაქო ქორწინებაზე, და ამას გარდა პრუსიაში უნდა მოახდინონ განკარგულება, რომ იქაურ კათოლიკე სამღვდელოებას მოესპოს გაელანა საოფლო შკოლებზე და საზოგადოთ ხალხის განათლებაზედ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

Ივლისის ორს ნიუ-იორკის ქუჩებში დიდი არეულება და ამასთან სისხლის ღვრაც მოხდა, მერე იმისთანა საქმისთვის, რომლისთვისაც ძალიან ძნელი მოსალოდნელი იყო თავისუფალს Ამერიკაში. Საქმე ეი რაში მდგომარეობს: ამ დღეს პროტენსტანტები დღესასწაულობდენ, შეკრებილიყვნენ ერთად და ქუჩებში დადიოდნენ, პროცესია გაემართათ. Კათოლიკებს ამ პროცესიის დაშლა მოენდომათ და წინათვე გამოეცხადებინათ, რომ დაუშლითო; მმართებლობასაც პროცესიის აკრძალვა მოენდომებინა, მაგრამ, რადგან საღრმუნოების წესის შეეიწროება არ უნდოდა, მისცა პროტესტანტებს პროცესიის ნება და თან ჯარიც დაამზადა, ვინიცობაა, არეულება თუ მოხდა იმათ შუა, გავაზავებო. Მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეაშინა კათოლიკები და ისინი დაეცნენ პროცესიას. Სალდათებმა დაუშინეს იმათ თოფები: სამოცი კათოლიკე მოკლეს და ასზე მეტი დაჭრეს. Ამას გარდა აქვე მოკლეს ექვსი პოლიციის მოხელე და ათი სალდათი. Არეულობის გაძლიერებას ლამე მოელოდნენ და ამის გამო მმართებლობას 12 პოლკი მზათ ჰყავდა, მაგრამ შუალამის დროს ქუჩებში კაცი აღარ ჩნდა. Ამ შემთხვევის გამო 150 დაატყვევეს.—Ამერიკაში, სადაც ათასი სარწმუნოება, ათასი სექტა არსებს ერთად, ამისთანა ერთი მეორის გაუტანლობა და უარყოფა სინიდისის თავისუფლებისა ძალიან გასაკვირველი საქმეა.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ

Ამას წინეთ იყო ჩვენს გაზეთში, რომ Ავსტრიის პოლშელებმა (გალიციელებმა) სთხოვეს მმართებლობას, რომ იქაურ სასამართლოებში საქმეების წარმოება და უნივერსიტეტში სწავლა პოლშურ ენაზე ყოფილიყო. Ახლა ერთს პეშტის გაზეთში სწერენ, Ავსტრიის იმპერატორი დათანხმდაო, რომ ლვოვის (Გალიციის) უნივერსიტეტში ლექციები პოლშურ ენაზე იკითხებოდნენო.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

Ბრიუსელი, 13 ივლისს. Აქ ისმის, რომ ჟულ-Ფავრი ამ მოკლე ხანში გამოვა სამსახურიდგან.

Პარიჟი. Ეი როგორ გათავდა აქ მუნიციპალური ამორჩევები: ამორჩეულია: 29 კონსერვატიულ-რესპუბლიკური დეპუტატი, (ექვო რიცხვია) ზომიერი რესპუბლიკელები და 49 ისეთნი, რომელნიც ვერ იტყვის კაცი, რომელ პარტიას ეკუთვნიან.

Მადრიდი, 15 ივლისს. Მინისტრების პრეზიდენტათ დაინიშნა ზორილია, რომელმანც სამინისტრო შეადგინა. Ეს სამინისტრო დაიცვავს ექტემბრის რევოლიუციის პრინციპს.

Რომი. ჰფიქრობენ, რომ რომის პაპი აქედამ წასელას აპირებსო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

Დიდის სიამოვნებით შეგვიძლია ვახაროთ ჩვენ საზოგადოებას ნამდვილი ამბავი ხელმწიფე იმპერატორის მობრძანების თაობაზე:

Გაზეთს „Кавказъ“ ბეჯითად შეუტყვია, რომ ხელმწიფე იმპერატორი 20 აგვისტოს გამობრძანდება პეტერბურღიდამ და სექტემბრის 7-ს მობრძანდება პეტროვსკში. Თფილისში მისს იმპერატორებითს უდიდესობას 20 სექტემბერს მოელიან და 24-ს ბორჯომში იქნება. Იმ სამ დღეში, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი აქ დაჰყოფს, ერთი დღე ყარაიაზზე წასაბძანებლათ და იქ სანადიროთ არის დანიშნული.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

***

Ხარკოვში ერთი შესანიშნავი საზოგადოება შემდგარა, რომლის მსგავსნიც თუ სხვა ქალებშიაც შესდგენ, უეჭველია, იმათ დიდი მნიშვნელობა ექნებათ კაცობრიობის ცხოვრებაში.

რამდენიმე კაცი შეყრილან, შეუდგენიათ საზოგადოება, გამოუღიათ ფულები და ისეთ სახლებს აშენებენ, სადაც რამდენსამე ოჯახობას შეუძლია ერთად ცხოვრება; მდგმურები თავის მხრით შეადგენენ ცალკე საზოგადოებას და, სახლის ქირის გარდა, ისინი რამდენსამე ფულს აძლევენ წელიწადში სახლის ამშენებელ საზოგადოებას.

რამდენიმე წლის შემდეგ მდგმურები, რომელნიც ამ ნაირათ მოგებულ ქირას იხდიან, აღარაფერს აღარ მისცემენ სადგომში, მუქთად იდგომებიან. Ამისთანა სახლში ცხოვრებაც სულ სხვანაირი იქნება: ყველა მდგმურები ამოირჩევენ ერთს ვისმე პირს, რომელსაც აძლევენ სახარჯო ფულს თითო კაცის სულზე და ამ ნაირათ ყველანი ერთად ცხოვრებენ და ესეთი ცხოვრება იმათ, უეჭველია, უფრო იაფათ დაუჯდებათ. Ამ სახლში იქნება გამართული საერთო პურის საჭმელი ზალა, სადაც ყველანი ერთად და ერთ დროს მიდიან სადილათ და ჩაისთვის; გამართულია აგრეთვე ბიბლიოთეკა, საზოგადო ბაღი, საზოგადო სარეცხი ოთახი, ფურნე, საკერავი ოთახი, დუქანი, აგრეთვე ძროხებიც ჰყავთ.

Როდესაც მდგმურები ათი ან თხუთმეტი წლის შემდეგ იმდენ ფულს მისცემენ სახლის პატრონებს, რამდენათაც სახლი ულირთ, მაშინ ეს სახლი იმათ დარჩებათ საკუთრებათ.

Ამ ნაირათ ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, ასოციაცია ანუ რამდენიმე პირის შეერთება და ერთად საქმის დაჭერა ახდენს ისეთს საქმეს, რომელსაც ცალკე ცოტა შეძლებს მექონე პირები ვერასოდეს ვერ შეიძლებდენ.

***

Გაზეთს „Русского Лѣтопись“) მოუვიდა მმართებლობისაგან მესამე გაფრთხილება იმი თვის,

„Რომ ამ გაზეთის (№ 26) მოწინავე სტატიაში, რომელიც გიმნაზიის რეფორმებს შეეხება, მოხსენებულია, რომ ეს რეფორმები სრულ ად უვარგისი არიან, ჰკიცხავს იმათ უშვერი სიტყვებით და ამ ნაირათ ჰსურს აღძრას საზოგადოების აზრი იმათ წინააღმდეგ,

Ამას გარდა ზემოხსენებულ მოწინავე სტატიაში („Раи იქნება“) სჩანს ისვე მიმართულება, რომლისთვისაც ამ გაზეთს ორი გაფრთხილება მიეცა„.

***

„Მოსკოვის უწყებებს“ გაუგონია, რომ ამ უკანასკნელ დროს ბალტიის გუბერნიებში ავრცელებენ ერთ ბროშურას, რომელშიაც რუსეთთან მტრობა და უკმაყოფილებაა გამოცხადებულიო. Ეს ბროშურა ლატიშურ ენაზეა თურმე დაწერილი და სამზღვარ გარეთ დაბეჭდილია. Ამ გუბერნიებში ამისთანა ბროშურები იმდენი შემოუტანიათო, რომ ქუჩებში და სოფლებში გააქვთ თურმე და ისვრიან ვინმემ აიღოს, წაიკითხოს და რუსეთის უკმაყოფილება დაუთესოს გულშიო, მაგრამ მმართებლობას კი, „Მოსკოვის უწყებების სიტყვით ერთი ამისთანა ბროშურაც ვერ ჩაუგდია ჯერ ხელში.

Მართალია, ბალტიის გუბერნიები ხანდისხან უკმაყოფილებას აცხადებენ ზოგიერთ რუსეთის მმართებლობის განკარგულებაზე, მაგრამ ეს ბროშურების გავრცელება ძალიან შესაძლებელია რომ „Მოსკოვის უწყებების“ გამომცემს, უფ. Კატკოვს, მოეჩვენა, რადგან ის ხშირათ იქ ხედავს რუსეთის მმართებლობაზე უკმაყოფილებას და თითქმის აჯანყებას, სადაც მცხოვრებლებს არაფერი ამისთანა აზრშიაც არ მოსვლიათ.

***

Ერთს რუსულს გაზეთში სწერენ, რომ სევასტოპოლის ახლოს ქვის-ნახშირის მადანი ამოუჩენიათ. Ამბობენ, რომ ამ ადგილას, როგოც ჰსჩანს, ძალიან ბევრი ნახშირი უნდა იყოსო, და თვისებითაც ძალიან კარგი არისო, ასე რომ ნიუ-ქესტლის საუკეთესო ქვის ნახშირს უკან არ ჩამოუდგება. Იქაურ კაპიტალისტებს ეს მიწები, სადაც მადანი გამოჩენილა, იჯარით აუღიათ და ამ მოკლე ხანში შემუშავებას შეუდგებიან, რომ რკინის გზისთვის მიზიდონ ქვის-ნახშირი.

***

Რუსულ გაზეთებში ძლიერ ბევრსა სწერენ ახლა ხოლერის თაობაზე, რომელიც სხვა და სხვა ქალაქებში და განსაკუთრებით პეტერბურღში და მოსკოვში თან და თან ძლიერდება. Პეტერბურღში დღეში ასი კაცი ხდება თურმე ავათ და უკანასკნელი ორმოცდაათი კვდება. Მოსკოვში კი ამაზე ნაკლებათ არის, მაგრამ აქაც დღეში ოცდაათ კაცზე ნაკლები არ კვდება. Რიბინსკიდამ იწერებიან „Პეტერბურღის Უწ-

ყებებში“, რომ კაცი ვერ გაიგლის ქუჩაშიო, რომ ერთი ვინმე ხოლერიანი მაინც არ წაიქცეს იმის თვალის წინა; მარტო ორი დღის განმავლობაში აქ ას ათი ხოლერიანი ავათმყოფი შესულა საავათმყოფოში. ამას გარდა ზოგიერთ სხვა ქალაქებშიაც გაჩენილა ხოლერა და სადაც კი ხალხი ღარიბათ და ბინძურათ ცხოვრებს, იქ ეს საშინელი ავათმყოფობა თან-და-თან ძლიერდებაო.

***

ერთს ვენის გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მოსული ტელეგრამმა, რომლიდგანაც ვტყობულობთ, რომ სტამბოლსა და ოდესას შუა წყლის ქვეშ რომ ტელეგრაფი გაყავთ, ამ მოკლე ხანში მზათ იქმნებაო. ოდესიდამ სტამბოლამდი ამ ახალი ტელეგრაფით დეპეშის გაგზავნა 12 ფრანკათ (ოთხმანეთად) ღირება.

***

ლონდონის გაზეთს „ტაიმსში“ ამას წინეთ დაბეჭდილი იყო, რომ ოსმალეთის, მმართებლობამ იმ რუსის ხომალდებს, რომელნიც ოდესაში მიდიოდნენ, დარდანელში და ბოსფორში გასვლის ნება მისცაო. (უკანასკნელი ტრაქტატის ძალით, ოსმალეთს უმთავრესი სახელმწიფოების დაუკითხავათ, ნება არა აქვს ვისიმე ხომალდები და ცეცხლის ვემები გაუშვას დარდანელში და ბოსფორში). ამ საქმის თაობაზე ლორდმა რედკლიფმა ჰკითხა პალატაში უცხო ქვეყნების საქმეების მინისტრს—ლორდ გრენვილს—მართალია ეს ამბავი, თუ არაო. ლორდმა გრენვილმა უპასუხა იმას, რომ მე არაფერი არ შემიტყვია ჯერ ამაზედაო და არა მგონია, რომ ოსმალეთი, ჩვენდა დაუკითხავათ, რუსეთის ხომალდებს დარდანელში გატარების ნებას მისცემდაო.

სამართალი

სხდომა ს.-პეტერბურღის სამოსამართლო პალატისა იმ შეთქმის თაობაზე, რომელიც ახლანდელი მმართველობის წყობილობის დასამხობად იყო შედგენილი. *)

სხდომა 1 ივლისისა.

სხდომა დაიწყო 11 საათზე და 40 მინუტზე. სასამართლოს შეადგენდენ: თავმჯდომარე—ლიუბიმოვი და ხუთი მუდამი წევრები პალატისა; ამათ გარდა მსაჯულების რიცხვში იყვნენ: ს.-პეტერბურღის უფროსის მარშალი თ. ტრუბეცკოი (ღუბერნიის მარშლის მაგიერით), ცარსკოე სელოს უფროსის მარშალი—პლატონოვი, ს.-პეტერბურღის ქალაქის თავი (გალავა)—პოგრებოვი და ალექსანდროვის ვოლოსტის მამასახლისი—მიხაილოვი. ამტყუნებდა პალატის პროკურორი—პოლტოვცოვი. ბრალდებულების დამცველებათ იყვნენ ნაფიცნი ვექილნი: თ. ურუსოვი—უსპენსკის და ფოლხოვსკისა, სპასოვიჩი—ქუჩნეცოვის, ტკაჩოვის და ტომილოვის ცოლისა, არსენიევი—პრიჟოვისა, სოკოლოვსკი—დემენტიევის ქალისა, ტურჩანინოვი—ნიკოლაევისა, ხარტულარი—ქარინფსკისა და დეპი—ფლორინსკისა.

თავსმჯდომარე. „სამოსამართლო პალატის სხდომა გახსნილია. სამოსამართლო პალატა შეუდგება იმ შეთქმის განხილვას, რომელსაც აზრათ ჰქონდა დაწესებული სახელმწიფო წყობილობა დაემხო და რომელიც 1869 წ. აღმოაჩინეს რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში ეს უშველებელი და ძლიერ რთული საქმე, რომელიც სასამართლოების უწყების მატიანეებში არა უკანასკნელს ადგილს დაიჭერს, შეიცავს 84 ბრალდებულებს, რომელნიც თერთმეტ გრუპათ არიან დაყოფილნი. თითოეული გრუპა ცალკ ეუნდა იქნეს გასამართლებული. დღეანდელ სხდომაში პალატა დაიწყებს იმ თერთმეტი ბრალდებულების საქმის განხილვას, რომელნიც პირველ კატეგორიას ეკუთვნიან.“ (ამ ბრალდებულების სახელები ეს არის მოვიყვანეთ).

თავსმჯდომარემ, წესისა მებრ, ჰკითხა ბრალდებულებს მათი სახელი და გვარი, წოდება, წლოვანობა და საცხოვრებელი ადგილი. სეკრეტარმა წაიკითხა მოწმეების სია, რომლიდამაც ამოჩნდა, რომ 19 მოწმეებში სხდომაში მხოლოთ ექვსი მოსულიყო. პროკურორმა მოითხოვა, რომ ამის გამო დღეანდელი სხდომა უნდა დაიშალოსო და მეორე ვადაზე გადაიდვასო, მაგრამ ყველა ადვოკატებმა ერთხმით სთქვეს, რომ რადგან იმ მოწმეების ჩვენება მაგდენათ საჭირო არ არის, ამიტომ ჩვენ თანახმა ვართ სხდომა მოხდესო. სასამართლომ დამცველების თხოვნის დაგვარათ გადაწყვიტა ეს კითხვა.

შემდეგ წაიკითხეს ბრალ-მდებელი აქტი, რომელიც აქვე მოგვყავს:

„1869 წლის თებერვალში და მარტში აქაურს უმაღლესს სასწავლებლებში, სახელდობრ: მედიკო-ხირურგიის აკადემიაში, უნივერსიტეტში და ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში იყო არეულობა. ერთი შეხედვით, ამ არეულობებს მხოლოთ ის აზრი ჰქონდათ, რომ მოსწავლე ახალგაზდობას ჩსურდა კასისა და ყრილობების უფლება შეეძინა. აპრელში არეულობა დაამშვიდეს. მაგრამ მაშინ ამ არეულობის მიზეზის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ არეულობის მოთავეებს, სტუდენტების კასსა და ყრილობები კი არა, სულ სხვა ჰქონდათ აზრში. მაგრამ იმ დროს მთავრობამ არ იცოდა—ვინ და რა აზრით აქეზებდა სტუდენტებს; იმან გაიგო მხოლოთ ის, რომ იანვარში და თებერვალში რომ სტუდენტებს კრებები ჰქონდათ, იმათში დიდი მონაწილეობა მიეღოთ: ერთი პეტერბურღის შკოლის მასწავლებელს—სერგეი ნეჩაევს, ვლადიმირ ოლოვს, აგრეთვე ერთი სასოფლო შკოლის მასწავლებელს და იურიდიკული საგნების კანდიდატს, პეტრე ტკაჩოვს. ამას გარდა მთავრობამ იმ დროსვე შეიტყო, რომ 1869 წ. მარტის 4-ს ნეჩაევი სხვისი პასპორტით გაიქცა სამზღვარს გარეთ და ოლოვი კი პეტერბურღიდამ სადღაც დაიმალა. ამის შემდეგ მარტის დამლევს მთავრობამ ჩაიგდო ხელში დემენტეევის ქალის სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაცია, სახელათ „საზოგადოებისადმი,“ რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი სიტყვებია მოყვანილი: „ჩვენი პროტესტი მტკიცე და ერთსულოვანია! ჩვენ უფრო დიდის კმაყოფილებით მზათა ვართ დავიხრჩოთ ციმბირში და კაზემატებში, ვიდრემ დავიხჩოთ და ზნეობით დავმახინჯდეთ ჩვენს უნივერსიტეტებში და აკადემიებში.“

„1869 წ. ნოემბერში მისი იმპერატორებითი უდიდესობის კანცელარიის მე-III განყოფილებამ საჭიროდ დაინახა გაეჩხრიკა სახლი პეტრე უსპენსკისა, რომელიც იმ დროს ჩერკეზოვის წიგნის მაღაზიაში იყო პრიკასჩიკათ. აქ სხვათა შორის ნახეს მდივანში და კრესლოში შეკერული და ეტაჟერკაზე შემდეგი ქაღალდები: 1) ფოჩტის ქაღალდის რვეული, რომელზედაც ბეჭედი ესვა და ამ ბეჭედზე ეწერა: „სახალხო განკითხვის კომიტეტი, 19 თებერვ. 1869 წ.“; 2) სამზღვარ გარეთის პასპორტი ნიკოლაევის სახელზე; 3) პატარა წიგნი შიფრით დაბეჭდილი; 4) დაბეჭდილი რვეული შემდეგი სათაურით: „ბამოცემა სახალხო განკითხვის საზოგადოებისა, 1869, № 1, მოსკოვი;“ 5) რამდენიმე ფურცელი ქაღალდი, რომელზედაც დაბეჭდილი იყო—„საზოგადოწესდებულება ორგანიზაციისა; 6) ეტაჟერკაზე ნახეს ხუთი რვეული, რომელშიაც ზოგიერთის სახელები და სხვა და სხვა შენიშვნები იყო დაწერილი. ამ დროსვე გაჩხრიკეს ჩერკეზოვის წიგნის მაღაზია და იქ აღმოაჩინეს: 1) 14 ეკზემპლიარი პროკლამაცია, სახელათ „შეერთებულებისაგან განცალკევებულებისადმი“, ამას ესვა ბეჭედი ზედ წარწერით: „რუსის განყოფილება საქვეყნო რევოლიუციური კავშირისა“, 2) სტუდენტების მიმართვა „საზოგადოებისადმი“ და ოგარიოვის ლექსი, სახელათ „სტუდენტი“.

„ამის შემდეგ გამომძიებელმა გაუჩხრიკა სახლი იმ პირებსაც, რომლების სახელები უსპენსკის ქაღალდებში იყო მოხსენებული. ყველა ამ გამოძიებებისაგან აღმოჩნდა შემდეგი:

„1868 წ. სექტემბრის 3-ს მოსკოვში მისულა ჟენევიდამ სერგეი ნეჩაევი. აქ ეს პირველათ ყოფილა უსპენსკისთან, რომელსაც ადრეც იცნობდა. ნეჩაევს ბევრი ულაპარაკნია უსპენსკისთან მდგომარეობაზე, უთქვამს, რომ ხალხი ძალიან უკმაყოფილოთ არის მმართებლობაზეო, დღეს თუ ხვალ აჯანყდებაო და ბოლოს დაუჯერებია, რომ საიდუმლო საზოგადოება შეევადგინოთ, რომელმანც ხალხის აჯანყება მოამზადოსო. უსპენსკის რჩევით ნეჩაევს მოსკოვში ბევრი პეტროვის სამეურნეო აკადემიის სტუდენტები გაუცანია, და იმათგან შეუდგენია საზოგადოება, როგორც ჟენევის რევოლიუციური კომიტეტისაგან გამოგზავნილ პირს. ნეჩაევმა, იმისთვის რომ ვისმეს არ გაეგო სხვა სახელი დაირქვა: ივან პეტროვიჩი პავლოვი. ყველა ის ქაღალდები, ბლანკები და წესდებულებები, რომლებიც ზევით იყო მოხსენებული, ნეჩაევმა გააკეთა იმისთვის რომ სხვები დაეჯერებინა, ვითომ მართლა ჟენევის კომიტეტისაგან ვარ გამოგზავნილიო.

„რამდენიმე ხნით ამის წინეთ, 25 ნოემბერს, მოსკოვში, პეტროვის აკადემიის ტბაში შემთხვევით ნახეს დამღჩვალი კაცის გვამი, რომელიც ამ აკადემიის სტუდენტი—ივანოვი—ამოჩნდა. ეჭვის შემოწმებისაგან ცხადი შეიქნა, რომ ივანოვი მოკლული იყო თოფით ან დამბაჩით; ივანოვის გვამს კისერზე წითელი შარფით აგური ეკიდა. არავითარი ცარცვის ნიშნები დაღჩობილს არ ანჩნდა, ასე რომ საათიც თან ჰქონდა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ჩააფიქრა გამომძიებელი: ცხადი იყო, რომ ივანოვი ავაზაკს არ მოუკლავს; ის ისეთი კაცის მოკლული უნდა ყოფილიყო, რომელსაც ან რაიმე ჟინი უნდა სჭირებოდა იმისი და ან რასმე სხვაში ჰპოებდა საჭიროთ იმის მოკვლას. მართლაც, უსპენსკი და ქუზნეცოვი გატყდენ, რომ ივანოვი ჩვენ მოვკალით, ნეჩაევის რჩევითო. აი რისთვის და როგორ მომხდარიყო ეს საქმე: როდესაც ნეჩაევი საიდუმლო საზოგადოებას არდგენდა და წევრებს აგროვებდა ამისთვის, მუდამ ამბობდა, რომ ყველაფერი ჩემი მოქმედება დამყარებულია კომიტეტის ბრძანებაზე და განკარგულებაზეო და ამიტომ იმის წინააღმდეგობა არასოდეს არ შეიძლებაო. ივანოვი კი, რომელიც აგრეთვე წევრი იყო ამ საზოგადოებისა, ხშირათ უკმაყოფილებას აცხადებდა ზოგიერთს ნეჩაევის განკარგულებაზე, ხან სრულიადაც არ ასრულებდა იმის ბრძანებას და რამდენმეჯერ ეთქვა, რომ გამოვალ თქვენი საზოგადოებიდამაო. ამისთანა ამბები, უეჭველია, ნეჩაევს არ მოეწონებოდა; ის, უსპენსკი, პრიჟოვი, ნიკოლაევი და ქუზნეცოვი რამდენჯერმე შეიკრიბნენ და ჰკითხეთ მოლაპარაკება იმაზე—თუ როგორ უნდა მოიშორონ ივანოვი თავიდამ ისე, რომ იმას შემდეგ ამ საზოგადოებისთვის ვნება აღარ შეეძლოსო. აქ გადაწყვიტეს ივანოვის მოკვლა და დააწყვეს პლანები: 21 ნოემბერს, საღამოს, ნიკოლაევი უნდა წასულიყო და უნდა მოეყვანა ივანოვი აკადემიის ბაღის გამოქვაბულში, ვითომ საიდუმლო სტამბის საჩვენებლათ; აქ დამალულნი იქნებოდნენ ნეჩაევი, პრიჟოვი, უსპენსკი და ქუზნეცოვი, რომელნიც, შეეიდოდა თუ არა ივანოვი, ეცემოდნენ იმას და მოჰკლავდნენ. მართლაც ასე მოახდინეს: შეეიდა თუ არა ივანოვი ბნელ გამოქვაბულში, ნეჩაევი ეცა იმას, წააქცია და ესროლა თავში დაბანჩა; შემდეგ მოაბეს ყელზე აგური და ყველამ ერთად ჩაათრიეს ის ტბაში.

(ბაგრძელება შემდეგ №-ში)

ნარევი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ჟამად 5,244 გაზეთი გამოდის; ამ რიცხვიდამ ზოგიერთები ექვსჯერ უმეტესნი არიან „დროებაზე“ და ყოველდღე გამოდიან. მარტო პენსილვანიის შტატში 415 გაზეთი გამოდის და ნიუ-იორკის შტატში, რომელშიაც იმდენი მცხოვრებლები არიან, რამდენიც ქავკასიაშია, გამოდის 676 გაზეთი.

***

ინგლისში არის ერთი საზოგადოება რომელიც ჰბეჭდავს სამლვთო წერილის წიგნებს, განსაკუთრებით დაბადებას და სახარებას და ავრცელებს იმათ ხალხში მთელ დედამიწაზე. სამოცი წელიწადია, რაც ეს საზოგადოება დაფუძნებულა და ამ დროს განმავლობაში იმან ორასი ორმოცდაათ ენაზე დაბეჭდა დაბადება. მარტო შარშან საზოგადოებას თითქმის ოთხი მილიონი ეგზემპლიარი დაბადებისა და სახარების დაუბეჭდია და სხვა და სხვა ველურ ხალხებში გაუვრცელებია.

***

ერთს ნემეცურს გაზეთში შემდეგი არაკია მოყვანილი ბისმარკის თმებზე: შარშან მაისში ბისმარკი იყო ფრანკ-ფურტში. ერთ დილას იმან მოაყვანინა პარიკმახერი და თმა შეიკრიჭა. მას შემდეგ ფრანკ-ფურტში ძნელათ ნახავთ თურმე ქალს, რომ მედალიონში ბისმარკის ჭალარა თმა არა ჰქონდეს შენახული. თუმცა ყველამ იცის, რომ ბისმარკს ძალიან შეთხელებული აქვს თავზე თმა და შუბლზე სამი ღერი თმის მეტი აღარ აბადია, მაგრამ ფრანკ-ფურტელი ქალები კი დარწმუნებულნი არიან, რომ იმათ ნამდვილი ბისმარკის თმა აქვთ. პარიკმახერი კი გამდიდრდა და ქალებმა რაც ერჩიოსთ, ის იფიქრონ...

სწორეთ ამ ნაირი მაგალითები ძალიან ხშირია ხალხის ცრუ-მორწმუნებაში. ერთი სწავლული მღვდელი ამბობს: სადაც კი ქრისტეს სახედრის ფეხებს უჩვენებენ, ყველა რომ დათვალოს კაცმა, გამოვა, რომ ამ სახედარს უკანასკნელი შვიდი ფეხი ჰქონიაო, და ყველა ჯვარცმის ხის ნაწილებს რომ მოუყარო თავი, მგონი, მთელი ტყე შეიქნებაო.

***

ამერიკაში გამოჩნდა ერთი სპირიტი-ქალა, რომელიც აცხადებს, რომ ზეგარდამო შთაგონებისაგან შეიტყო იმან ერთი საშინელი ამბავი. რომელიც, ღვთის ბრძანებით, ქვეყნიერებას უნდა აცნობოს. ეს ამბავი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალ წელს ევროპაში კიდევ საშინელი ომიანობა და სისხლის ღვრა იქნებაო და ამერიკაში ერთი გადამდები ჭირი გავრცელდებაო. „მაგრამ, აცხადებს ეს ქალი, დაილოცა ღვთის განგება, მე მომცა იმან ერთი წამალი, რომლის საშუალებით ამ ჭირის მოსპობა ძალიან ადვილათ შემიძლიაო; თვითო შუშა ამ წამლისა ხუთ მანეთათ ღირს და ვისაც სიკვდილი არ უნდა, მოვიდეს და ეს წამალი ჩემგან იყიდოსო“. ეგ არის...

***

*) ამ ნაირი სათაურით „მმართებლობის მოამბეში“ და იქიდამ სხვა გაზეთებშიაც იბეჭდება ის ბევრის მხრით შესანიშნავი საქმე, რომელსაც „ნეჩაევის ისტორიას“ ეძახიან. ჩვენს პატარა გაზეთში, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია სრულად დაბეჭდვა ამ უშველებელი პროცესისა, ეს იმ რუსულ გაზეთებსაც უჭირსთ, რომელნიც ყოველდღე გამოდიან და რომელთა თითო ნომერი თითქმის ორი „დროების“ ოდენა არის. ამიტომ ამ საქმეში ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მხოლოთ უმთავრეს გარემოებებს და სიტყვა-სიტყვით კი გადმოვიღებთ მხოლოთ იმ ადგილებს, რომელთაც რაშიმე შესანიშნავათ დავინახავთ. რედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюля, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.